ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში, გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, სატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:
*Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°)*

№ 7 შაბათი IV 15 აპრილი, 1871 წ.

### შ ი ნ ა ა რ ს ი

საზოგადო და სასოფლო ხეხილის ბაღები.—«სასოფლო გაზეთის» კორესპონდენცია—ლოჭინი, 2 მარტს.—სამეცნიერო ნაწილი:—ნაკელის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. უმთავრესნი გარეგანნი ავათმყოფობანი საქონლისა.—ყველის მკეთებელი ამხანაგობა.—ტყეების მნიშვნელობა.—კარტოფილი, მიწის ვაშლი.

## საზოგადო და სასოფლო ხეხილის ბაღები.

ქართლის სოფლებში თითქმის ყოველს სოფელში უცილებლათ აქვთ თემებს პურის სასოფლო მაღაზიებს ...ლანდელის უეზდის ნაჩალნიკის განკარგულებით; იმედია, რომ ყოველს სოფელს ექნება ამ წელსვე თავიანთ საკუთარი პურის მაღაზია. ამ სასარგებლო დაწყობილობის შემდგომ იმედია, რომ ჩვენი ქართველნი გლეხნი იქამდის გონიერებას იჩარებენ, რომ მისვდებიან ამისთანა საზოგადო დაწყობილების სარგებლობას და თავის დროზედ შეუდგებიან საზოგადო ხეხილის ბაღების გაკეთებას.

საზოგადო და სასოფლო ხეხილის ბაღების გაკეთება ანუ მოშენება შემდგომის სახით შეიძლება. ყოველმან სოფლის საზოგადოებამ რომ შემოღობოს ანუ შემოარტყას ღრმა თხრილი რამდენიმე დღიურს მიწას, სადაც თითოეული კომლი ვალდებული იყოს დარგოს ა თ ა თ ი ბლის და მსხლის ხე, შემდგომ ორისა ანუ ხუთის წლისა თითოეული ხე, საშუალოთ მანეთს ხომ მოსცემს ყოველს წლიწადს. ამისთანა ერთხელ გაკეთებულის სასოფლო ხეხილის ბაღიდგან, იმ სოფლის საზოგადოებას მაგალითათ, სადაც მაინც ითვლებოდეს ოთხმოცი კომლი, მოსახლე გლეხი; თითოეულმან მათგანმა რომ დარგოს და ასაროს საზოგადო ხეხილის ბაღში ათი ხე; სულ შესდგება რ ვ ა ა ს ი ხე. ამიდგან სოფელს ექნება უკანასკნელი ფასი რომ ვიანგარიშოთ, ხეზე ათი შაური ორმოცი თუმანი წლიწადში შესდგება ამ, შემოსავლით იმ ოთხმოც კომლის სოფელს რომელიც აქ მაგალითათ მოვიყვანეთ, შეეძლებათ გადიხადონ თავიანთი სასოფლო სხვადა სახაზინო გადასახადი; ამ გვარის ღონისძიებით სოფლი საშუალებას ექნებათ გლეხთ თავის დროზედ წლის გადასახადის დაუჭირვებლათ ჩაბარებისა.

საზოგადო და სასოფლო ხეხილის ბაღები გერმანიაში ძლიან გავრცელებულია, ასე რომ ყოველს სოფლის საზოგადოებას აქვს საკუთარი საზოგადო ხეხილის ბაღები, რომლის გამო სოფლიდგან არა თუ მარტო იხდიან ყოველს გვარს სათემო გადასახადს, იქამდის სისრულეში აქვთ მოყვანილი, რომ კიდევაც რჩება ამ შემოსავლიდგან.

უეჭველია ზოგან იფიქრებენ რომ ყოველმან სოფლის საზოგადოებამ რომ სასოფლო ხეხილის ბაღები გააკეთოს და მაგოდენი რიცხვი ხეხილი ასაროს, სად გაუშვიდენო, ანუ სად გაასაღონო; თუ ხილი იქნება, გაუყიდავი არ დარჩებათ მაშინ უმეტესათ, როცა შემდგომ რკინის გზების გაკეთებისა დიდი ხანი გავა და მოთხოვნილება ხილისა უეჭველათ საკმაო იქნება, ასე რომ იქნება ვერც კი შევიძლოთ მომხმარებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სასოფლო მოხელეთ რომ მოაქციონ ამისთანა სასარგებლო საქმეს თავიანთი ყურადღება, ჩააგონონ გლეხებს საზოგადო ხეხილის ბაღების გაკეთება; ძლიან ადვილათ შეუძლიანთ შესრულება, მხოლოდ მეცადინეობის მეტი არა დასჭირდებათრა არც მოხელეთ და არც თვით გლეხთ; გარეული ვაშლი და მსხალი მრავალი იზრდება ტყეებში; დასთხრის იმათ, დარგვისა და შემდგომ დამყნობის მეტი რა მოუნდებათ. ამ გვარი მუშაობა ყოველ გლეხთ თვით შეუძლიანთ მხოლოდ თუ თვით მოხელეთ გულსმოდგენით მოიწადინებენ, ადვილათ შეეძლებათ შესრულება, რადგანაც გლეხნი იქამდინ, მორჩილნი არიან თავიანთ მოხელეებისა, არ ვინ მათგანი წინააღმდეგი არ იქნება სამეტნავათ რაკი დარწმუნებულნი იქნებიან რომ ხეხილის ბაღი საზოგადოთ სოფლის საკუთრებათ და სასარგებლოთ გაკეთდება. ტ ი რ ძ ნ ი ს ი.

ი, სულხანოვი.

## «სასოფლო გაზეთის» კორესპონდენცია.

ლოჭინი 2 მარტს. წარსული წლის გოდვანი შემოდგომის და წარსული ზამთრის პირველი თვეები ძლიან ცუდს მოსავალს გვიქადებდენ, მაგრამ დეკემბრის ბოლოს რომ წვიმები და თოვლი დაიწყო, იმით იმდენი წყალი ჩაუდგა მიწას, რომ სოფლელებს ყოველივე შიში აწინდელს მოსავალზე გაუფანტათ. თოთხმეტს მარტს თოვლმა ერთიერ კიდევ მოთეთრა მიწა იმ დროს, როცა ნუშის ხეს ყვავილი გამოღებული ჰქონდა, მაგრამ ამ თოვლს არა დაუშავებს რა.

* * *

საზოგადოდ ამ წელს გაზაფხული სხვა წლებზე უფრო გვიან დადგა; და ეს სოფლის მუშას სამხიარულოთ უნდა ჰქონდეს. ადრიანს გაზაფხულს ყოველთვის ცუდი და დაუდგრომელი ხასიათი აქვს: წვიმიანი დღეები იცის, ცუდი ქარი, სუსხიანს დილებს გვიან არ მოიშლის ხოლმე, რომელნიც ბევრს ცუდს შეამთხვევენ აყვავებულს ხეებს, ამოსულს ბოსტნეულს და სხვა.

თბილისი

*
* *

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენ შეგვაშინეს, რომ მახლობელს სოფლათ საქონლის ჭირი გაჩნდაო. რადგან ადგილობრივნი მცხოვრებნი ჩვეულებრივათ არავითარს ღონისძიებას არა ხმარობენ ამ ავათმყოფობის წინააღმდეგ, ამისთვის ის ძალიან ვრცელდება და საშინლათ ჰსწყვეტს ჯოგებს. მაგრამ კარგათ რომ გამოვიკვლიეთ ეს ხმა ტყუვილი გამოდგა; იყო მხოლოდ საქონლის ყვანა საცხენისს, ახალსოფელს, ნორიოს, მარტყოფს, სართიჭალას და ზოგიერთს სხვა სოფლებში. ეს ავათმყოფობა გაძლიერებული იყო მარტყოფში; ამ ჟამათ კი სრულებით აღარ არის.

*
* *

წარსულს წელს ტფილის გარეშემო, სახელდობ ყარაიას მინდორზე შენიშნეს მკალია და თუ ამ წელს ძალიან გაძლიერდა, შეუძლიან ბევრი ზარალი მისცეს ყანებს მინდვრებს და საბალახო ადგილებს. ამის გამო მიწის მეპატრონეები ძალიან კარგს საქმეს იზამდენ, რომ წინათვე მიეღოთ ღონისძიება, რომ ეს მტერი გაეწყვიათ გამოჩენისათანავე. გულს ძოდგენით თვალ-ყური უნდა ადევნონ და როგორც კი კვერცხებიდგან გამოვლენ, მაშინვე უნდა დახოცონ, კვერცხიდგან გამოტეხილი მკალია რამდენსამე ხანს მხოლოდ დაცოცავს, დილით ადრე მზეს გამოეფიცხება. ამისგამო ადის მაღლობს ადგილზე, სადა ბალახი მზეს არ უფარებს. აი, ამ შემთხვევით უნდა ისარგებლონ სოფლებმა, რომ მზეზე გამოფიცხებული მკალიის მატლები დააგროვონ ერთს ადგილს და მერე ერთბაშათ ამოსწყვიტონ. სადაც მკალიის მატლებია, იმ მინდვრებზე უნდა დააგროვონ ჩალის ზვინები. რაც მინდვრებზე მკალიის მატლებია, ყველანი ზედ შეცოცდებიან და მერე რომ ცეცხლი წაუკიდო, სულერთიანათ დაიწვიან. დილით ადრე ამისთანა ზვინებზე ისე ბევრი მკალია მოგროვდება, რომ სულ ერთიანათ გაშავდებიან; რამდენჯერმე რომ დასწვა ამისთანა ზვინები, ძალიან ბევრი მატლი გაწყდება. როცა კანს გამოიცვლის და ხტუნვას დაიწყებს, მაშინ უფრო ძნელია იმისი გაწყობა. ამ შემთხვევაში იმას ორმოებში ჩაყრიან და მერე ზედიდგან მიწას დააყრიან და დატკეპნავენ. როცა ფრთები გამოესხმება, იმისი გაწყვეტა კი მოუხერხებელია. მაშინ ყოველმა მიწის მუშამ უნდა ეცადოს გამორეკას თავის ყანებიდგან ხმაურობით და სხვა ღონისძიებით.

რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ლოჭინოში შემოიღეს ერთ ნაირი საშუალება ვენახის მოვლისა და მხოლოდ ამის წყალობით ვენახის ავათმყოფობა ძალიან შემცირდა და ამ უკანასკნელს ჟამს კარგი ღვინის მოსავალიც მოვიდა.

*
* *

მთელს წელიწადს ვაზს მიწაზე აგდებენ და მხოლოდ მარიამობის თვეში მოსარვენ და ვაზზედ მიაკრვენ. გვაიხსენოთ რომ ერევანში და ნახიჩევანში ცივი ზამთრების გამო ვაზებს მიწაში ჩაფლვენ ხოლმე და გაზაფხულზე ვაზი მიწაზეა დაწყობილი. არც ერევანში, არც ნახიჩევანში ვაზის ავათმყოფობა არ ყოფილა, ორდუბადში კი, სადაც ვაზი სარზეა გაკრული ყურძნის ავათ-მყოფობა ძალიან იყო. საზოგადოთ შენიშნულია, რომ რაც უფრო მიწაზე, ახლოა ვაზი, იმდენათ ნაკლებათ აყრია ნაცარი. ჩვენს მეოჯახეებს ვურჩევთ ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და ურჩევთ თავიანთ ვენახებში სცადონ იმ გვარი ვაზის შენახვა, რადგან ლოჭინოში კარგი შედეგი ჰქონდა ამ გვარს ვენახის მოვლას, ვაზი უნდა გაისხლას ჩვეულებრივათ, მაგრამ სარზე მიკვრა მხოლოდ აგვისტოს დამდეგს უნდა.

ამ კორრესპონდენციასთან ესეც უნდა დაუმატო, რომ ამ წელს ლოჭინოში გვინდა ვსცადოთ აბრეშუმის მოყვანა და ვენახის გაშენება თესლისგან; იმ განზრახვით, რომ შევიტყოთ იქნება ამ ღონისძიებით გაშენებულს ვენახს აღარ გამოჰყვეს ნაცრის ავათმყოფობა. ამ საქმის დაწყება მოხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თავს მჯდომარის, გენერალ-მაიორის ასტაფიევის რჩევით, რადგან მთელი საუკუნოების განმავლობაში ერთი და იგივე საშუალებით შემუშავება უეჭველია იმდენათ დაასუსტებდა ამ ჯიშსა და მცენარის აგებულებას, რომ ავათმყოფობას გაუჩენდა ამ ცდას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან შეეხება უმთავრეს ნაწილს ჩვენი ქვეყნის მეურნეობისას.

*
* *

სხვა სამეურნეო მცენარეებს შორის, რომელნიც მოჰყავთ ამ წელს, მე ვიტყვი რამდენსამე გვარს კართოფილზე, რომელნიც გამოგზავნა ტფილისს ვიცეპრეზიდენტმა დოქტორმა რეგელმა.

გეევსკი.

# სამეცნიერო ნაწილი.

## საჭმელის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში *).

«Наука наблюдаетъ и изучаетъ химическій составъ крови, процессъ пищеваренія, коснтрукцію волосъ, ногтей и *прочія ничтожныя мелочи*; и эти ничтожныя мелочи уже теперь повернули верхъ дномъ колосальныя теоріи мировыхъ мыслителей и цѣлыхъ народовъ; эти ничтожныя мелочи уже тенерь разбили оковы человѣческой мысли. Дѣло разрушенія сдѣлано; дѣло созданія будетъ впереди и займетъ собою не одно поколѣніе».

*) «მეცნიერება უკვირდება და ტყობულობს სისხლის ქიმიურს შედგენილობას, მონელების ანგარიშს, თმის, ფრჩხილების შედგენილობას და სხვა წვრილ ამბებს და ამისთანა წვრილმანმა ცოდნამ სულ გადასცვალა საქვეყნიერო მეცნიერების და ერთა სწავლა. ამ წვრილმანმა მეცნიერებამ ახლაც ჯერ დაამტვრია კაცობრიობის აზრის ბორკილი. ძველი სწავლის საფუძველი დაირღვა, ახალი მეცნიერების სამირკველი გაიხსნა; შენობის დასრულება ჯერ კიდევ წინ არის და მრავალ შთამომავლობასაც ეყოფა სამუშაოთ.

ყოველი ერის ენაზე არის ისეთი სიტყვები, რომელთაც დღეში ათჯერ მაინც იტყვის ყოველი კაცი თავის სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ ამ სიტყვების მნიშვნელობა კი ნაკლებათ ესმისთ ამათ. ამ სიტყვებს შორის არის სიტყვა «საჭმელი», რომელსაც იძახის კაცი აკვნიდან დაწყებული საფლავამდის.

*
* *

მაგრამ რომ ჰკითხო იმათ: რა არის საჭმელი? რა მოქმედება აქვს მას კერძო პირის და მთელი ერის ცხოვრებაზე? დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ნაკლებათ გაიგონებთ ნამდვილს და ჭეშმარიტს პასუხს.

ზოგნი იტყვიან: საჭმელს ვეძახით მას, რაც ვარგა საჭმელად; სხვები იტყვიან: საჭმელს აქვს ის გავლენა, რომ ასუქებს კაცს. მაგრამ ცოტა ოდენი დაკვირვება უნდა: რომ კაცმა ნათლად დაინახოს ამ პასუხების უსაფუძვლობა. მაგალითად, არიან ისეთნი ველურნი ერნი ამერიკაში, რომელნიც სჭამენ ზოგიერთ თიხას, როგორც პურს, მაგრამ არც ერთი გიჟიც არ იტყვის, რომ მიწა საჭმელია.

*
* *

ასეთი უსაფუძვლო განმარტებით მეცნიერება არ აკმაყოფილებს და მიდის უფრო ღრმათ თავისი მახვილი შესედულებით და გვეუბნება: «საჭმელი არის მიზეზი ზნეობითი და გონებითი ერის გასხნის და მაშა სადამე მისის ისტორიული ბედის ტრიალისა.»

*
* *

სანამდის წარმოუდგენდეთ მკითხველს ამ მეცნიერების სიტყვების დამამტკიცებელ ფაქტებს (მოხდომილობას), ვთხოვთ მას ჩვენთან გადაავლოს ერთი თვალი ცხოველთ მეფობას, რომ უფრო ვრცლად შეეძლოს მას წარმოდგენა საჭმლის მნიშვნელობისა.

*
* *

ერთი თვალი რომ გადავავლოთ მთელს ოთხფეხთ ცხოველთ მეფობას დავინახავთ, რომ ეს მეფობა გაიყოფება უმთავრესად ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს ეკუთნის ყველა მცოხნელნი ცხოველთაგანი და მეორეს კი ხორცის მჭამელნი.

ერთი თვალის გადავლება უნდა, რომ კაცმა ნათლათ დაინახოს ის განსხვავება, რომელიც არსებობს მათ შორის.

სპილოიდან დაწყებული კურდღლამდის ეს ცხოველები (მცოხნელნი) არიან ძალიან მშვიდობიანნი, მოშიშნი ზარმაცნი და ადვილად დასამორჩილებელნი. მეორე ჯგუფის ცხოველნი კი წარმოგვიდგენენ სულ წინა-აღმდეგს თვისებას: ლომიდან დაწყებული კატამდის ისინი არიან საშინელი სისხლის მოყვარენი ისინი მუდამ მზათ არიან გაგლიჯონ რომელიმე მათზე უსუსტესი ცხოველი. ეს მხარე მათის ხასიათისა ისე ცხადია, რომ მე არ ვხედავ საჭიროდ გავაგრძელო მაზედ ბაასი, რადგანაც აკვნის ბავშვმაც კი იცის, რომ მას აშინებენ მგლით, მტრით, და არა ცხვრით და კურდღლით.

*
* *

ახლა რომ დავაკვირდეთ მათი სხეულის აგებულებას, შევამჩნევთ, რომ ეს ორი ცხოველთა ჯგუფი ძალიან განირჩევიან ერთმანეთში ამ შემთხვევაშიაც.

მცოხნელ ცხოველების კბილებს რომ დავაკვირდეთ, მათ სრულებით არა აქვსთ ზედა-ყბაზე წინა-კბილები და უკანა კბილები კი გალესილი აქვთ, როგორც სალესი ქვა.

ხორცის მჭამელთ კი აქვთ არაზომიერი ზედა ქვედა ყბები, სადგისივით წინ და უკანა ბასრი კოხლებიანი კბილები.

ასეთისავე განსხვავებას ვხედავთ მათ შინაგან აგებულებაშიაც მცოხვნელ ცხოველებს აქვს ერთის მაგიერად ორი თუ რამოდენიმე კუჭები და ძალიანი მრთელი წელები; მაშინ როცა ხორცის მჭამელთ კი ერთი პატარა კუჭი და მოკლე წელები აქვს.

ასეთი შინაგანის განსხვავების მიზეზის ახსნა ძალიან გაგვიადვილდება, რომ ცოტა გულს მოდგინეთ დავაკვირდეთ მათს ცხოვრებას.

პირველი ჯგუფის ცხოვლები იკვებებიან მუდამ ბალახითა და მეორისა კი ხორცით. ახლა რომ გავჩხრიკოთ ამ საჭმელთა თვისება, შევატყობთ, რომ ისინი ძალიანი განირჩევიან ერთმანეთში.

პირველი ჯგუფის საჭმელი, ე. ი. ბალახი უნდა ნაყოს უკანა კბილებშუა (მწვანილივით), რომ გადასაყლაპავათ ივარგოს; მეორე, ე. იგი ხორცი კი უნდა დაიგლიჯოს ანუ დაიღეჭოს, რომ მისი გადაყლაპვა შეიძლოს ცხოველმა.

რასაკვირველია ბალახის დანაყვა შეიძლება ორ გალესილი სანაყავ ქვებს შუა; აქედამ ცხადია, რომ ასეთი კბილების აგებულების მიზეზი იყო სხვა და სხვა ნაირი საჭმელი ამ ორ ცხოველთა ჯგუფისა.

ასეთივე მიზეზისა გამო მოხდა მათი შინაგანის აგებულების განსხვავებაც: ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ მცოხნელ ცხოველებს აქვთ რამოდენიმე კუჭები და ძალიანი გძელი წელები, ხორცს მჭამელს კი პატარა კუჭი და მოკლე წელები.

ავხსნათ ამ ორ ჯგუფის ასეთი შინაგნის აგებულების, მიზეზი.

ჩვენ რომ დავაკვირდეთ მცოხნელი ცხოველის დღიურ ცხოვრებას შევატყობთ, რომ ისინი ორ ჯერ ანუ სამჯერ უფრო ბევრს მოჭამენ, ვიდრე ხორცის მჭამელი პირუტყვები. მართლაც ყველამ ვიცით, რომ მგელი რამოდენიმე მინუტს გაძღება, ხოლო თხა ანუ ცხვარი დილიდამ საღამომდის სძოვს მინდორზე და კიდევ ვერ ავსებს მუცელს.

აქედამ შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ მცოხვნელი პირუტყვები სჭამენ უფრო ბევრს საჭმელს (ბალახს), ვიდრე ხორცის მჭამელნი; მაშასადამე ცხადია, რომ ბევრის ბალახის ჩასატენად დიდი ტომარაც უნდა წაიღოს მისმა მტვირთველმა.

*
* *

ცხადი საქმეა, რომ ასეთი ტომარა გატენის შემდეგ დაიჭერს დიდს ადგილს და დაამძიმებს ბალახის მკრეფელს?...

მაგრამ ბალახის მკრეფელს შეუძლია გაიადვილოს საქმე ამრიგათ. მას შეუძლია ბალახი გადაანწყოს რამოდენსამე ტომარაში, რომელნიც, რა საკვირველია, ცალ-ცალკე იქნებიან უმცირესნი დიდ ტომარაზე. იმით ის გაიადვილებს საქმეს, რომ მას შეუძლია ერთი უზარ-მაზარ ტომრის მაგიერათ დაიჭიროს ხელში ორი პატარა ტომრები და მესამე ზურგზე მოიკიდოს.

სწორეთ ასეთივე ანგარიშითა არის აგებული ამ პირუტყვების შიგნეული. ერთი კუჭი მარტო რომ ჰქონდეს მცოხვნელ პირუტყვს, მაშინ ეს კუჭი უნდა ყოფილიყო ძალიან ფართე, მაშასადამე ისე დაამძიმებდა ცხოველს გაძღომის შემდეგ, რომ ხალიჩაზე საქანებლად გახდებოდა, როგორც ერთი ჩვენი მეფეთაგანი; მაგრამ რადგანაც მას არც ხალიჩა აქვს და არც მაზე მაქანებელნი, ამის გამო თვით ბუნებამ განანაწილა მის კუჭი რამოდენიმე თვალებათ, რომ მითი შეუმსუბუქოს მას ბალახით გავსებული მუცლის თრევა. რაც შეეხება წელების სიგრძეს, ესეც ძალიან ადვილათ აიხსნება საჭმლის ზედმოქმედობით.

*
* *

როგორც კუჭში, აგრეთვე წელებშიაც ინელებს ყოველი ცხოველი საჭმელს. ყველამ ვიცით, რომ რაც უფრო ბევრი ხორცი ანუ ბალახია ჩაყრილი ქვაბში, ის უფრო ბევრი დრო უნდა მათს მოხარშვას.

მცოხვნელი პირ-უტყვები, როგორც ვნახეთ, სჭამენ ბევრს ბალახს, რომელმაც უნდა გაიაროს ჯერ კუჭში და მერე გრძელ წელებში. რა საკვირველია, რომ გრძელი გზის გასავლელად ბევრი დროც უნდა, რომელიც სრულებით საკმაოა ბალახის მოსანელებლად წელებში.

ასეთივე მიზეზებისაგან წარმოსდგება ხორცის მჭამელ პირუტყვების შინაგნის აგებულებაც. ცხადი საქმეა, რომ უფრო ცოტა ხორცი გაამძღებს პირუტყვს და ამასთანავე ხორცი ძალიან ადვილათ იხარშება კუჭში და წელებში; აქედამ ცხადია, რომ რამოდენიმე

კუჭები და გრძელი წლები ამ ცხოველებისათვის სრულებით უსარგებლო და ნამეტანი იქნებოდნენ.

* * *

თუ მკითხველს კარგის მოდგენით წაიკითხა, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ის მიხვდებოდა, რომ საჭმელს დიდი გავლენა აქვს კბილებისა და შიგნეულის აგებულობაზე და აგრეთვე ცხოველის ხასიათის გაკეთებაზე.

* * *

ახლა ვნახოთ, თუ როგორ შეუძლია საჭმელს გადაკეთოს ცხოველის ხასიათი და სხეულის აგებულება.

ვსთქვათ, რომელიმე ხორცის მჭამელი ცხოველი, მაგალითად გარეული კატა მოხდა ასეთ ადგილში, სადაც მას არ შეუძლია იშოვნოს ხორცი საჭმელად. ამ შემთხვევაში რჩება მას ღონის-ძიება: ან უნდა მოიკლას თავი შიმშილით და ან უნდა სჭამოს ნამყოფის საჭმელი, ე. ი. ხილი, პური, ლობიო და მჭადი.

რა მოხდება ამ შემთხვევაში კატის ცხოვრებაში?

რა საკვირველია, რომ პირველი კატა, რომელიც დაიწყებს ასეთს ცხოვრებას გამოივლის ბევრს ვაი-ვაგლახს სანამდისაც მოახერხებდეს ასეთ უჩვეულო საჭმლის ხმარებას:

შეუჩვეველს საჭმელს, რომელიც ძალიან უკან რჩება პოხიერებით ხორცს, არ შეუძლია მისცეს კატის სხეულს ისეთი მთელი სისხლის მკეთებელი ნაწილები, რომ მას შეეძლოს დაცვა უწინდელი სისხლის სიმთელისა; აქედამ ცხადია, რომ მთელი კატის სხეულიც უწინდელზე სუსტი და ავადმყოფი იქნება; მაშასადამე კატას დაეკარგება მისი უწინდელი გამბედაობა და სიმარდე, აქედამ ცხადია, რომ კატა რამოდენიც იქნება მოიშლის თავის უწინდელს ხასიათს (ზნეს).

ვსთქვათ, ასე იმ კატას ეყოლა რამოდენიმე ცინდლები; დედ-მამა რა საკვირველია, გადასცემენ შვილებს თავიანთ სხეულის აგებულებას; ეს მშობლისაგან გადაცემული სხეულის აგებულება მუდამ მრიელდება, რადგანაც შვილებიც იმავე გარემოებაში იქნება ჩაყენებული, რომელშიაც იყვნენ მათი დედ-მამა, მაშასადამე მალებს კიდევ უფრო დაუსუსტდებათ თავიანთ წინა პირის ხასიათი, ე. ი. სისხლით მოყვარება.

* * *

ამ რიგათვე გამოიცვლება მათი შინაგანი აგებულებაც. კატას რომ ხორცი არა აქვს საჭმელად, უნდა სჭამოს ბლომათ პური, ლობიო და მჭადი, რომ შიმშილით არ მოკვდეს. მაშასადამე უფრო გაძლომის შემდეგ კატას ებერება კუჭი. რა საკვირველია, რომ ხუთის ანუ ექვსის წლის განმავლობაში კატამ რომ იბეროს ამ რიგათ უფრო დღეს მეტელი, მას ბოლოს ძალიან გაუგანიერდება კუჭი. ამ თვისებას კატა გარდასცემს თავიანთ შვილებსაც, რომელთაც უფრო გაუგანიერდებათ კუჭი იმავე ცხოვრების პირობებში. ასე რომ მიჰყვეს კატის ცხოვრება ათს მოდგმამდის, მაშინ მეათე მოდგმა არც ხასიათით და არც შინაგანი აგებულებით არ ემსგავსება თავის პირველ წინაპარს.

* * *

მართალიც. მეცნიერებმა ძალიან ადვილათ დაამტკიცეს, რომ ასეთი გავლენა აქვს საჭმელს ცხოველებზე.

დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ კატები არიან მოშინაურებულნი ძველ დროში, მაშასადამე, ისინი არიან გარეულნი კატების შთამომავალნი; მაგრამ ყველამ ვიცით, თუ რა დიდი განსხვავებაა იმათში.

შინაური კატები იქამდის არიან დამშვიდებულნი, რომ პატარა ბავშვსაც არ ერჩიან (თუ არ გააჯავრა); არ ერჩიან არა თუ ქათმებს, არამედ წიწილებსაც. აბა, გასინჯეთ და ხელი მოჰკიდეთ დაჭერილ გარეულ კატას და ანუ მიეცით შემთხვევა ხელთ იგდოს რომელიმე მაზე უსუსტესი ცხოველი და ჰნახავთ მაშინ, რაც ხასიათის არიან, ისინი.

* * *

ამ გვარივე შეცვლა მოხდა იმათ შინაგან აგებულებაშიაც. მეცნიერებმა ათას გზით დაამტკიცეს, რომ შინაურ კატას აქვს უფრო ფართე კუჭი და გძელი წლები, ვიდრე გარეგანს. ბალახის ჭამასაც ასეთივე გავლენა ექნება ხორცის მჭამელ ცხოველზე. იმათ ერთი კუჭის მაგიერად გაუჩნდებათ რამოდენიმე კუჭები და გრძელი წლები.

ცხადი საქმეა, რომ ხორცის მჭამელი პირუტყვი ვერ დაიწყებს პირ და პირ ბალახის ჭამას, რადგანაც მას არც მისი დანაყვა და არც მონელება შეუძლია, მაგრამ.. შეიძლება საქმე მოხდეს ამ გვარათ. ხორცის მჭამელი პირუტყვი, როგორც კატა ჯერ დაეჩვევა ნამყოფის საჭმლის ჭამას და როცა მისი სხეული კარგათ შეეთვისება ამას, მაშინ შესაძლოა, თუ შემთხვევამ მისცა ბალახის ჭამაც დაიწყოს და რამოდენიმე მოდგმის შემდეგ ხორცის მჭამელი ცხოველი იქცეს მცოხნელ პირუტყვად.

ბევრი მაგალითები გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ ასეთი საქმე შესაძლოა, ყველამ ვიცით, რომ ღორი სჭამს ყოველფერს *) ე. ი. როგორც ბალახს აგრეთვე ხორცსაც.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ღორი მოხდა ისეთს ადგილში, სადაც მას არ შეუძლია იშოვნოს სხვა რამე საჭმელი—ბალახის მეტი; რასაკვირველია რომ ღორი ამ შემთხვევაში შიმშილით არ მოიკლავს თავს; მაგრამ მისი შინაგანი აგებულება შეიცვლება მუდამ ბალახის ხმარებით. ეს შეცვლა მოაწყვეს ბოლოს, ე. ი. რამოდენიმე მოდგმის შემდეგ იქამდის, რომ ღორის კუჭს სრულებით არ შეეძლება ხორცის მონელება; მაშასადამე ღორი იქცევა მცოხნელ ცხოველად. რაც იყო ნათქვამი იქიდამ ცხადათ სჩანს, რომ საჭმელს შეუძლია ერთი ცხოველი აქციოს მეორე ცხოველად, რომელთა შუა სრულებით არ არის საზოგადო თვისებანი, როგორც ხასიათში, აგრეთვე შინაგან აგებულებაშიაც; მაშასადამე, საჭმელს შეუძლია მოახდინოს დიდი საქმეები ცხოველის ცხოვრებაში.

---

*) ყოველს ცხოველს, რომელსაც შეუძლია, როგორც ხორცის აგრეთვე ნამყოფის საჭმლის ჭამა, მეცნიერები ეძახიან «ყველაფრის მჭამელს» ანუ უკეთ ვსთქვათ, «განუკითხავ მჭამელი». ასეთს ცხოველებს ეკუთვნიან: კაცი, ღორი და ძაღლი.

## უმთავრესი გარეგანი ავათ-მყოფობა საქონლისა.

1 მენი. ამ ავათმყოფობისაგან ცხოველს ალაგ-ალაგ ტყავი გაუსქელდება და ეჭმუჭნება და საშინელი ქავილი აუტყდება ამ ალაგებზე. ცხოველი წამის წამს ეხებს ხეს, ან ხორკლიანს რასმე, რომ ზედ მიეყუდოს და ეხლაზუნოს. ეს ავათმყოფობა უსუფთაობისაგან გაუჩნდება ცხოველს, ბოსელში და ეზოში უწმინდურობისაგან, წამხდარი საზრდოსა და აგრეთვე შიმშილისაგან. მენი განსაკუთრებით გაუჩნდება კისერზე, ზოგჯერ ზურგზე და მერე თეძოებზედაც გადადის; ზოგჯერ გაუჩნდება მხოლოდ ძუძუებზე. მენი ისეთ ადვილათ ედება, რომ უფრო ადვილია ავათ მყოფი ცხოველის მორჩენა. ვინამც სხვა ცხოველების მორიდება. ამისთვის როგორც შეატყონ მენის გამოჩენა ზოგიერთ ცხოველზე, დანარჩენი პირუტყვები მაშინვე უნდა მოარიდონ: მაგრამ ესეც უნდა შენიშნოთ, რომ ბოსელი თუ თბილი არ იქ[…] ცივს სადგომში მენის წამლობა არ მოხერხდება, ამიტომ რომ ვერას გახდება.

* * *

სანამდის მენს უწამლებდენ, მანამ პატრონმა უნდა მოაშოროს ის მიზეზი, რომლიდგანაც წარმომდგარა ეს ავათ-მყოფობა: უნდა ეცადოს ბოსლის კარგათ გასუფთავებას. ახალი დ[…] ადვილი მოსანელებელი საკვები უნდა აძლიო[…] ყოველ დილით მენიანს საქონელს შეაჭმევ[…] ხოლმე სამ-სამ მისხალს ძალიან დანაყილ[…] თაიგლში არეულს გოგირდს; ამასთანავე ყო[…] მელ დილაობით მობანენ მენიანს ადგილ[…] ძუსის ნაცრიანი წყლით გამოდუღებულის თამბაქოს წვნით. ეს წვენი კარგათ გაწურული და თბილი უნდა იყოს.

* * *

2, მკბენარი (ტილი).

თუ ბასელი რიგიანათ დასუფთავებული არ არის ხოლმე და პირუტყვსაც ცუდი საკვები ეძლევა, ძალიან ხშირად მოხდება, რომ აუარებელი მკბენარი დაესევა განსაკუთრებით ფაფარში, შუბლზე და რქების ძირში. მეტის მეტი აქავებით პირუტყვი ისე საშინლათ იქექავს ტანს, რომ სულ კანს გადაატყავებს ხოლმე. ამის შემდეგ ნატკენს ადგილებზე დაუგროვდება ჩირქი და ჩაესევა შიგ მრავალი მკბენარი, დაგატკილი ადგილები კი როცა დახმება, მუწუკებათ გადაიქცევიან. ამ ავათმყოფობის მენათ მიღება არ იქნება: კარგა რომ დავაცქერდეთ ამ მუწუკებს, მაშინვე შევნიშნავთ, რომ იმაში მრავალი მკბენარი ირევა.

*
* *

აქაც ყველაზე უწინ ავათმყოფობის გამჩენი მიზეზის მოკვეთას უნდა ცდილობდეს პირუტყვის მეპატრონე: უკეთ უნდა დაუწყოს კვება მკბენარიანს პირუტყვსა და რაც შეიძლება სუფთათ უნდა ყავდეს. განსაკუთრებით ის ადგილებზე, საცა ტილებს თავი მოუგროვებიათ, ბეწვი უნდა მოკრიჭო, თუ სულ გაკნაჭავ, ეს კიდევ უკეთესს ემჯობინება. მერე ნაცარწყლით და საპნით კარგათ უნდა გაბანო, და ბოლოს უნდა წაუსვა წამალი, ამ ნაირათ მომზადებული: თორმეტი მისხალი გოგირდი, თორმეტი მისხალი გორჭილა ნახევარ ბოთლი, სელის ზეთში არეული. ზემოხსენებულ წვენი მუხასნაცრისა და თამბაქოს ფოთლების გამონახადით გაკეთებული უნდა იყოს. საზოგადოთ მკბენარი გარეგანი წამლობით მოსცილდება პირუტყვს და იმის გაჩენამ უნდა აფიქრებინოს მეპატრონეს უკეთესი საკვების მლევა, უკეთესი მოვლა და ბოსლის ნალაგ დაგვა—დაკამკამება.

*
* *

ბოსლების და გომების სუფთათ შენახვა მეტი არ შეიძლება ისე საჭირო და გამოსადეგი პირუტყვის მეპატრონესთვის. ამისთანა გომებში პირუტყვი ნამისაგან და სუნისაგან არ შეწუხდება. სასუქადგან აღებული სუნის გაცლა ძალიან ადვილათ მოხდება: კირი ან გაჯი რომ მოაყარონ ნეხვს, მეტი არა უნდა რა.

*
* *

3, იარ დამრელი, (ნატკენი).

იარა სხვა და სხვა მიზეზისაგან გაუჩნდება პირუტყვს. ის ყოველთვის სუფთათ უნდა იყოლიოს კაცმა და არ შეაცივოს თუ პირუტყვი გადავარდა რუში ან ღელეში და იმისგამო ახალი იარა გაუჩნდა, მაშინვე უნდა შეეკრას, დაჭრილი პირები ერთმანეთზე უნდა მიუკრას, რომ წესიერათ შეუხორცდეს. შეხვევა ნატკენს დაასუშებს და მერე ნელთბილს ადგილს უნდა დააბა. თუ იარა დაწითლებულია და გამნეღებულია, მაშინ დამარბილებელი მომშუშებელი წამლის დადება ძალიან მოუხდება; მაგალითად წყალში დამბალი სელის მარცვლებში აგრეთვე უნდა მობანონ მოლოქისა და ყაყაჩოს გადმონადუღი წყლითა. ნაკბენი კი მაშინვე უნდა მობანო ნიშადურით, სპირტით და ამას შემდეგ როგორც უბრალო იარებს არჩენენ, ისე უნდა არჩინონ.

*
* *

ცოფიანი ცხოველის ნაკბენი კი მაშინვე უნდა დაიწვას და შემდეგ მალამოთი უნდა არჩინოთ. როგორც რომ ცხოველი დაიკბინება მაშინვე იარა მარილის წყლით უნდა მობანონ, მაშინვე მარმა უნდა მოაპარსონ თმა და ზედ მიადონ ძმარში მოზელილი ცომი, რომელშიც დაც შპანცკია მოურილი (აფთიაკში იკითხე).

ყველას კი ემჯობინება, რომ ნაკბენი დასწვან გახურებული რკინით, მაგალითად ლურსმნის თავით, წურწუმათი.

*
* *

4, ჩლიქების ავათ მყოფობა.
ჩლიქების დახეთქა

თუ დახეთქილს ჩლიქებში რამე ჩაუცვივდა ცხოველს, მაგალითად ქვიშა, მიწა, ტალახი და სხვა რამლისაგამო შეიძლება ჩლიქებში პირუტყვს ჩირქი ჩაუდგეს, მაშინ პირუტყვი დაიწყებს კოჭლობას. ამ შემთხვევაში ნატკენ ადგილს მობანენ შაბიამნის წყლით დასველებულ ჩვრით, ან შაბიამანში ან ჯანგარში გაზელებულ ფარატინით, მერე იმავე ჩვრებით შეუხვევენ რომ მორჩენამდის ტალახი არ ჩაუვარდეს ნატკენებში.

*
* *

ჩლიქების სიმსივნე. რქიანს საქონელს ხშირად შეემთხვევა ხოლმე კოჭლობა და ჩლიქები დაუსივდება, იმისგამო რომ გარეგან ხოლმე ჭაობიანს ადგილებზე. ჩლიქები უნდა მობანო და თუ ხელის დაჭერით ცხოველი შეკრთება და სიმსივნე უხურს, მაშინ დასივებულზე უნდა შემოადვა საცხებელი, რომელიც გაკეთებულია მაგარს ძმარში ორი ნაწილი ფეთრი თიხისაგან და ახალი ნეხვისაგან. ჩლიქები წამლის შემოდებამდის ყოველ დღე უნდა მობანო შაბიამნის წყლით.

გეგზე.

## ყველის მკეთებელთ ამხანაგობა

ჩვენ აქ თვითონ ყველის კეთებაზე არას ვიტყვით, რადგან ჩვენში ეს ხელობა ყველამ იცის; მაგრამ ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ მკითხველს თუ რამდენათ სასარგებლო იქნება ჩვენი სოფლების გლეხკაცობისათვის, ისინი რომ შეამხანაგდებოდენ და ერთად დაიწყებდენ ყველის ყვანას და გაყიდვას.

*
* *

ყველის ყვანა ძალიან იაფად ჯდე- გირვანქა ყველს ერთი კაპეიკის მასალა თუ მოუნდება მეტი არა; რამდენათაც უფრო ბლომათ კეთდება ყველი ერთბაშათ, იმდენათ უფრო იაფად ჯდება იმის კეთება. ხარჯის ამოსაღებათ ორმოცი გირვანქა ყველი მაინც უნდა კეთდებოდეს ყოველდღეობით. რადგან ერთი გირვანქა ყველს ათი გირვანქა რძე უნდება, ამისთვის ორმოც გირვანქა ყველისთვის ოთხასი გირვანქა რძეა საჭირო.

*
* *

ყველი ძალიან ნოყიერი საზრდოა. ის ბევრათ უფრო მარგებელი და გემოიანია ხაჭოზე, დიდხანს შეინახება და რამდენათაც უფრო ძველდება,

იმდენათ უფრო კარგს გემოს დაიჭერს, თუ ყველი რიგიანათ იქნა მომზადებული.

*
* *

ყველის კეთება ძალიან სასარგებლოც არის. იმის მყიდველი ყოველთვის ბევრია. ჩვენში ყველს საუზმეზე და სადილზე სჭამენ. საზღვარს გარეთ უყველოთ კაცი არ გამოდის. რამდენიც გინდა, იმდენი გაგზავნე საზღვარს გარეთ ყველი, მაინც არ დარჩება გაუყიდველი. ჩვენში გირვანქა სამშაურათ იყიდება. შვეიცარიის ყველი გირვანქა ორ და სამ აბაზ ნაკლებ არ იყიდება და თვითონ შვეიცარიაში კი თუ ბევრს იყიდის კაცი თითო გირვანქა თოთხმეტ კაპეიკზე მეტი არ ჯდება. მაგიერათ შვეიცარიული ყველი ბევრათ უფრო მსუქანი და გემრიელია ჩვენებურს ყველზე.

*
* *

ბევრსა ჰგონია, რომ შვეიცარიული ყველი მხოლოდ შვეიცარიაში გაკეთდება სხვაგან არსად იმიტომ რომ იქ ბალახი იმისთანაა რომ სხვაგან არ მოდისო. თუ ეგრეა, მაშ გერმანიის მეოჯახეები რომ აკეთებენ ყველს და ყოველგან შვეიცარიის ყველათ ჰყიდიან, რათ არის? შვეიცარიის ყველს მთელი ქვეყანა მიეჩვია და ამიტომ ისე ბევრი გადის, რომ შვეიცარიელები მხოლოდ ყველის კეთების მეტს არას შვრებიან; მომეტებული ნაწილი იქაური მეოჯახეების თავის მიწაწყალს მხოლოდ სამოვრათ ან სათივებათ უშვებს; ზედ მარტო საქონელს აძოვებენ. თივას ხთიბვენ და რაც მროხებიდან ყველი შემოდისთ, მხოლოდ იმითი რჩებიან. შვეიცარიის მცხოვრებლები არც სთესვენ, არც მკიან და პურის მოყვანაზე უფრო სასარგებლოთ მიაჩნიათ სათიბებად გადაქცევა თავის სამუშაობებისა. რამდენ სასუქსაც აგროვებენ, იმითი სულ სათიბებს ასუქებენ. სათიბებში ყოველგან და ყოველ მხრით გაყვანილია რუები, რომლებშიაც გოლვიანობის დროს შეუშვებენ წყალს წყაროებიდგან, ან არა და ყოველ დაჭირებაზე, შიგ მოაგროვებენ მომეტებულს წვიმის წყალს.

*
* *

ამისთანა მეცადინეობით სათიბები ორჯერ ითიბებიან, ბალახი ძალიან სქელი, წვნიანი და მშვენიერი გემოსი იზდება. მროხების მოვლა ძველიდგან კარგათ სცოდნიან შვეიცარიელებს. მროხებს ქალების მაგიერათ კაცები უვლიან. საკვებს აძლევენ, გომებს უსუფთავებენ თვითონ მროხებს სწმენდენ და ასუფთავებენ სულ კაცები. ამისთანა მოვლით და საკვებით მეტი არ შეიძლება ისე კარგი ჯიშის საქონელი გაუზდიათ შვეიცარიის გლეხი უფრო ხშირათ ერთი მროხის მეტს არ იყოლიებს, ბევრს ერთი ურჩევნია, უვლის და ჰკვებავს ძალიან გულ-უხვად. მაგრამ ისეთი მეოჯახეებიც არიან, რომელნიც ზამთარ ნახევარჯერ ბზეთი ჰკვებენ. კარგი შვეიცარიის მროხსა ალაგობრივ ღირს ათი, ან თორმეტ თუმან ნახევარი. ამისთანა მროხსა ერთ წელს გამოისყიდის თავს. და თუ წლის განმავლობაში თავის ფასი არ აიღო, მაშინ შვეიცარიელი ამბობს, მროხა კვებათ არ ღირსო და ცდილობს იმის გაყიდვას და სხვა საქონლის ყიდვას.

(შემდეგი იქნება)

## ტყეების მნიშველობა

ზოგიერთ მცენარეებს უყვართ მიჯრილ ტყეებად ზრდა; ამისთანაები არიან მაგ. ფიჭვი, ნაძვი და სხვ. რომლებსაც ეკლოვანი ხეები ქვიან, ამიტომ რომ ნემსის მზგავსი მწვანე ფოთლები აქვთ. ტყეებათ იზრდებიან აგრეთვე ფურცლოვანი მცენარენი, როგორც მაგ. მუხა, წიფელი, არყის ხე და სხვ. სხვა მცენარეები კი — თელა, ნეკერჩხალი თხმელა, მეწნა, იფნი, ცაცხვი, გრაკლი და სხვ. იზრდებიან ცალ-ცალკე და ძვირათ შეადგენენ ხოლმე ტყეს.

*
* *

უწინდელ დროში მრავალი ადგილები, სადაც ეხლა დასახლებულია, დაფარული იყვნენ ტყეებით. რამდენათაც ერი უფრო და უფრო მრავლდება, იმდენათ ტყეები თან და თან კლებულობენ და ადგილები ტრაბლდებიან. უწინდელ დროში მაგ. მთელი გერმანია დაფარული იყო ტყეებით, ეხლა კი ძრიელ გაკაფეს და ტყეები დარჩენ მხოლოდ ზოგიერთ ადგილას; უფრო დიდრონი ტყეები არიან ამ ქვეყანაში განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში, ბოგემიის მთებში, შვარცვალდის, გარცის და სხვ. მთებზე; აგრეთვე ელბიდგან დაწყებული ბალთიის ზღვამდის.

*
* *

ეჭვი არ არის, რომ ძველად ჩვენი საქართველოც დაფარული იყო ტყეებით, მაგრამ დროების განმავლობაში გაწყვიტეს მცხოვრებლებმა ნამეტურ ვაკე ადგილებზე, სადაც უფრო ხელი მიუწვდებოდათ, გადმოცემა გვეუბნება მაგ., რომ იმ ადგილს, სადაც ეხლა თფილისის აბანოები არიან, ამ ქალაქის აშენებული მეფე ნადირობდა ტყეებშიო.

*
* *

სხვა ქვეყნებზე უფრო დიდრონი და ხელ უხლებელი ტყეები ეხლა არიან ამერიკაში. ტყეებს ძრიელ დიდი გავლენა აქვთ მხარეს ჰავაზე; სადაც ტყეები არიან, მაგალით. იქ ზამთარი ისე ძრიელ ცივი არ არის, როგორც უტყეო ქვეყნებში. ზაფხულში ტყეები ინახვენ ხოლმე სინოტივეს და ამიტომ იქ, სადაც ტყეები არიან, ხშირათ მოდის წვიმა, რომელიც დიდათ სასარგებლო არის მხარეებისთვის. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენ იმერეთი, სადაც წვიმა უფრო ხშირათ მოდის, რადგანაც აქ უფრო ბევრი ტყეებია, ვიდრე ქართლში, სადაც მომეტებული მინდვრები არიან. ამას გარდა ტყეებიდგან გამოდიან მდინარეები და ნაკადულები და ვრცელდებიან მხარეში. ტყეების გაკაფვას აქვს ამიტომ დიდი გავლენა წყლების მოვარდნაზე წვიმების დროს და მდინარეების დაპატარაებაზე.

*
* *

ტყის გაკაფვა თუმცა დროებითი სარგებლობას აძლევს პატრონს, მაგრამ მთელი მხარისათვის კი საშინელი დიდი ზარალი მოაქვს, თუ რომ გამკაფველები არ ცდილობენ მაგიერი ტყის აშენებას. ტყეების გაკაფვით არამც თუ მცირდება შეშა, საშენებელი და ყოველ გვარი ხეები, არამედ იცვლება მთელი მხრის ხასიათი, და ჰავა, როგორც ზევით ვსთქვით. ძრიელ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ მაგ., სხვათა შორის, ეხლანდელი საბერძნეთი: 24 ნაწილი ამ მხარესა ძლივს

არის ეხლა ლაივარულ ტყეებით, და ამის გამო აქაური მდინარეები მრიელ შეტარავდებიან, ზოგიერთ ადგილს კი სრულებითაც შრებიან ხოლმე.

*
* *

ამ გვარ მაგალითებს ვხედავთ ავსტრიაშიაც, განსაკუთრებით—ტიროლში, სადაც ტყეების გაკაფვისა გამო ზოგიერთი მთები სრულებით გატიტვლდნენ: ხშირმა წვიმებმა წლითი—წლად ჩაიტანეს დელეებში ნიადაგის მიწა და დატოვეს მარტო ტიტველი ქვები, ასე რომ ახალი ტყის მოშენება იმ ადგილებზე შეუძლებელი საქმეა. ამავე მიზეზისა ესე იგი ტყეების გაუფრთხილებლობისა და გაკაფვისა გამოთან და თან ნიშვნენ ცვლილებას იმერეთის ჭაობშია რომლისა გამო მოსავალიც ყოველ წელიწადს კლებულობს. თუ ეხლავე არ უშველეს ამ ჭირს ბოლოს რაღა თქმა უნდა, რომ მლიერ სამწუხარო შედეგი იქნმება, მოხსენებულთ ზარალებისა გამო, რომელიც წარმოსდგებიან.

*
* *

ტყეების გაკაფვისა გამო მრავალ სახელმწიფოებში მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება ვანონიერ ტყის მეურნეობას, რომ როგორმე შეამცირონ ზარალი; რომელიც ხდება (ტყის პატრონების სიხარბისა და უცოდინარობისა გამო. ამ უკანასკნელს დროში შესდგა მეცნიერება, რომელსაც აქვს თვისი საგნის ტყეების გავრცელება და მოშენება, და მრავალ სახელმწიფოებში კიდევაც არიან სატყეო ინსტიტუტები და აკადემიები. ამაში განსაკუთრებით შესანიშნავია გერმანია.

*
* *

სხვა და სხვა ნაირი სიმაგრე ხისა, მისი ლპობა.

ხეებს აქვთ სხვა და სხვა ნაირი სიმაგრე, ამიტომ ყველა ხეები იყოფიან ორ წილად: ზოგი იმათგანი ეკუთვნიან მაგარ ხეებს, ზოგნი რბილებს. მაგარი ხეები არიან: მუხა, წიფელი, არყის ხე, თელა, რბილე—თხმელა, ცაცხვი, ვერხვი და მეწნა.

მხრდელი წვენი; მომეტებულ ნაწილ ხეებში იმდენია, მის მესამედს ნაწილს შეადგენს, რასაც მთელი ხე იწონის. რომ ხეებს მოსჭრიან ზოგი ნაწილი ამ წყლისა ამოშრება. სხვა რჩება ხეში. გაზაფხულში და ზაფხულში სხვა დროებაზე უფრო ბევრი წყალი დგას ხეებში, ამიტომ რომ ამ დროს მცენარეები სწოვენ წყალს მიწიდგან; ზამთარში კი წყალი ბევრათ ნაკლებია მცენარეებში. ამიტომ მრიელ კარგი საშეშე ხე არის, ზამთარში მოჭრილი ხე, და შეშას უმეტესად ამ დროს სჭრიან. ზამთარში მოჭრილი ხე დიდ ხანს სძლებს.

*
* *

რამდენათაც უფრო კარგი გამხმარი და მაგარია ხე, იმდენათ უფრო კარგათ იწვის და მომეტებული სითბოც აქვს. ეგრეთვე მაგ. წიფელი და არყის ხე სჯობიან ფიჭვსა და ნაძვს, და საზოგადოთ მთელი ხეები სჯობიან ნედლს ხეებს. ნაშხირიც ხმელ ხეებს უფრო ბევრი რჩებათ, ვიდრე ნედლ ხეებს.

*
* *

ხე და ყოველ ფერი, რაც კი არის გაკეთებული მისგან, უწყებულ გარემოებებში ლპებიან. ეს იმოდენათ უფრო მალე მოხდება, რამდენათაც მოქმედებს მასზე სინედლე და ჰაერი. ამიტომ სახლის სართულის მელები, რომლებიც არ არიან დაფარული, ბევრათ უფრო ჩქარა ლპებიან, ვიდრე სტოლები და სკამები, რომლებიც არიან შენახული სახლში. თუ ეს სართული უსწორ-მასწორო არის, ისე რომ წყალს შეუძლია დადგეს მასზე, მაშინ ის ლპება ბევრათ უფრო ჩქარა. ის ხეები კი, რომლებიც მთლათ წყალში არიან სრულებით არ ლპებიან, ამიტომ რომ ჰაერს არ შეუძლია იმათთან ჩატანება. ვენეციაში მაგ., რომელიც ადრიატის ზღვაზეა, ყველა სახლები აშენებული არიან ზღვაში ჩასობილ სვეტებზე. ერთი ეკკლესია არის დამყარებული ერთ მილიონ ას სამოც ათას სვეტებზე, რომლებიც არიან ჩასობილნი ორ საჟენ სიღრმეზე, ხიდი რომლითაც გამოდიან ქალაქიდგან ხმელეთზე გაკეთებულია სამოც და ხუთმეტ ათასს ხის სვეტებზე, რომლებიც არიან ორ [illegible] საჟენ ნახევარზე მიწაში ჩასულნი. თუ უნდათ არ დალპეს ხე, ესე იგი ჰაერმა ვეღარ იმუშაოს მასზე, ის უნდა გალესონ ლაქით ანუ ნავთით; ყველას ემჯობინება ზეთში მოზელილ საღებავში ხის შეღება.

## კარტოფილი.

კარტოფილი არის ერთი მრიელ სასარგებლო და გავრცელებულ მცენარებთაგანი. ეს მცენარე არის გადმოტანილი წინაპირველათ ჩილიდგან, რომელიც მდებარებს სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთის ნაპირზე; ეხლა მოჭყაპათ უმეტესათ ევროპაში. ველურად ჯერ არსად უნახავთ კარტოფილი. პირველათ ეს მცენარე მოიტანა 1565 წ. ირლანდიაში ნეგრების მოვაჭრემ სახელდობ ჯონ-ღოუკისმა; მაგრამ იქ არ მიაქციეს კარტოფილს ყურადღება, მხოლოდ 1686 წ. მოიტანა იგი ანგლიაში ანგლიელმა ადმირალმა ფრანც—დრეკემ და აქედგან (მასაქეთ) და წყნებული გავრცელდა კარტოფილი მთელ ევროპაში. ანგლიიდგან გადიტანეს იგი ნიდერლანდიაში, შემდგომ ფრანციაში და გერმანიაში. პირველათ მოჭყავდათ კარტოფილი ევროპაში ბაღებში და 1616 წ. პირველათ მიართვეს იგი კაროლს პარიჟში, როგორც მვირი (უცხო) საჭმელი. 1647 წ. მიიტანა იგი საქსონიაში ერთმა გლეხმა. ვიერტემბერგში გაჩნდა კარტოფილი 1710 წ., პრუსიაში 1720 წ. შვეციაში 1723 წ.

რუსეთში იწყეს კარტოფილის გავრცელება, ეკატერინე მეორიდგან. იმის მიზეზი, რომ ასე გამნელებით ვრცელდებოდა ყოველგან კარტოფილი არის ერის უცოდინარობა და მისი წინააღმდეგობა ყოვლის ახლისადმი, კარტოფილი მრიელ სასარგებლო საჭმელია, მაგრამ თუ დიდი ხანი დარჩა სარდაფში და ამოვიდა, მაშინ ჩნდება იმაში საწამლავი, ანუ მაბრუებელი ნივთიერება. კარტოფილის გავრცელების წინააღმდეგობაზე და სახსრებზე, რომლითაც მიეცემა ერი მეორე მცენარეს, რომელიც არის გადმოტანილი ევროპაში ეგრეთვე ამერიკიდგან. აი, რას ანბობს შესანიშნავი ბუნების მცოდნე (ნატურალისტი) ალექსანდრე გუმბოლდი:„ ევროპიელებმა, უგნურ უმაწვილებით, რომელთაც უჩვენებენ ერთათ პურსა და ნაკვერცხალს, მივარდენ

ნენ და ირჩიეს უკანასკნელი (ნაკვერცხალი). ახალმა ქვეყანამ (ამერიკამ) შეაძლია იმათ პური (კარტოფილი) და საწამლავი (თამბაქო) და იმათ მოუფიქრებლათ არჩიეს და წაიღეს საწამლავი. მთელი ევროპა გარყვნილია თამბაქოთი, ამბობს იგი, და იქ ვრცელდება შიმშილი და ყოველი იმისი შემდეგი სენი და სხვა მრავალ-ნაირი სნეულება. ერი კი არ იშლის თავის უგუნურობას. ის იჭვარტლავს პირს და იტენის ცხვირს საზარელი ბალახით (ბურნუთით, რომელიც კეთდება თამბაქოსაგან)«.—ეხლა კარტოფილი, გარდა მისირის ქვეყნებისა და აფრიკის ცხელი ადგილებისა, ყოველგან მოჰყავთ. ეს ზეთით და ბრინჯით გაკეთებული შეადგენს მარგებელს საჭმელს. ირლანდიაში თითქმის მარტო კარტოფილით იკვებებიან მცხოვრებლები.

* * *

ეხლანდელ დროში კარტოფილი უფრო ბევრი მიდის ვოდკის და სპირტის საკეთებლად. კარტოფილის თესვა ორ ნაირათ სასარგებლოა პატრონისთვის: ერთი მით რომ იმიდგან იხდება სასმელები, მერე ნახადიდგან შეიძლება პირუტყვების კვება. კარტოფილიდგან ვოდკის მომზადება ბევრით უფრო იოლად ჯდება, ვიდრე სხვა ნივთიერებებიდგან, როგორც მაგ. პურის ხვარბლიდგან. ვოდკის სმა ძრიელ გახშირდა ამ უკანასკნელ დროში ყოველგან კარტოფილის ვოდკა პურის ვოდკაზედ უფრო ცუდია; ამიტომ რომ იმაში ბევრია, ერთი ზეთი, რომელსაც ეძახიან სიუხის ზეთს. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ კარგი პივას მომზადება ამცირებს ვოდკის ხმარებას და ბევრათ ეწევა კაცის სიმრთელეს თავისი მარგებლობით, ზოგიერთ ქვეყნებში შედგა სიფხიზლის საზოგადოება, რომლის წევრები მორიდებით და კარგი მაგალითით ცდილობენ, რომ როგორმე გააქრონ მთვრალობა.

* * *

კარტოფილს რგვენ ან მთელ ძირებად, ან კიდევ შემოსთლიან ხოლმე მარტო კვირებს და იმათ ჩაყრიან მიწაში, მაგრამ ბევრათ უმჯობესია კი, რომ მთელი ძირები დარგონ. თესლით კარტოფილს მოაშენებენ მხოლოდ მაშინ, როცა სურთ რომელიმე ახალი ჯიშის კარტოფილის გაშენება. ამ შემთხვევაში ახალი მოშენებული კარტოფილი კარგ მოსავალს იძლევა მხოლოდ მესამე წელს.

* * *

კარტოფილი თითქმის ყოველ ნაირს ნიადაგზე მოდის, მაგრამ უფრო კარგა ხარობს თიხიან ნიადაგზე და ქვიშიანზე რომელსაც მზე სულ ადგია; რამდენათაც უფრო კარგა ბლომად დაყრიან ნაკელს შემოდგომაზე, ანუ ზამთარში საკარტოფილე ნიადაგს, იმდენათ კარგს მოსავალს მოსცემს ხოლმე იგი. აგერ მეორმოცე წელიწადია, რაც კარტოფილს სნეულება გამოუჩნდა, რომელსაც ეძახიან კარტოფილის სიდამპლეს. ეს სნეულება მდგომარეობს იმაში, რომ კარტოფილის ძირებზე და ფოთლებზე ჩნდება ობი, რომლიდგანაც ლპება იგი. ჯერეთ ვერც მიზეზი იპოვეს ამ სნეულებისა და ვერც არა საშუალება მის გასაქრობად. ყველაზე უფრო კარგი საშუალება ჯერ-ჯერობით ის არის, რომ დარგვის დროს გაარჩიონ ერთმანეთიდგან მთელი და წამხდარი კარტოფილის თავები და არც მოწყვის დროს აყრიონ ერთმანეთში. რომლებიც დაზიანებულნი არიან, ისა სჯობს რომ მოუთხრელათ დასტოვან, მინამ [illegible] არ გახმება. დიდრონი კარტოფილის ღერები დაწიფებამდის ხმებიან ხოლმე.

* * *

კარტოფილი ძრიელ სასარგებლოა. თუ სხვა საჭმელებთან ხმარობენ; მარტო და ყოველთვის მისი ხმარება კი მავნებელია სიმრთელისათვის და ისინი, ვინც მარტო კარტოფილით იკვებებიან, ადვილად გაირჩევიან სხვებიდგან თავიანთი სნეული და უფითელი პირისახით. მიზეზი იმისი, რასაკვირველია, ის არის, რომ კარტოფილში მარჩენელი ნივთიერებანი ბევრათ უფრო ცოტა არიან, ვიდრე ურგო ნაწილები. კარტოფილის 100 ნაწილში 80 წყალია, რომელიც, რასაკვირველია, არ აძლევს მას ნოყიერობას; შეიძლება გამოთვლა, რომ სამ გირვანქა კარტოფილში გამოვა თვრამეტი მისხალი ხორცი ორმოცდა ათი მისხალი ლობიო, ორმოც და ორი უფითელი მუხუდო ანუ ორმოცდა რვა მისხალი დიკის პური. რომ შევადაროთ ერთის და იმავე ადგილზე სივრცით მოსული კარტოფილი და დიკა ჩვენ დავრწმუნდებით რომ კარტოფილი უფრო ბევრი იქნება დიკაზე წონით; მაგრამ ნოყიერება კი დიკაში უფრო ბევრი იქნება-კარტოფილზე.

* * *

მიწის ვაშლი ჰგავს კარტოფილს და არის გადმოტანილი ბრაზილიიდგან, მიწის ვაშლი კარტოფილზე უფრო ტკბილია და იმათგან, როგორც რომ კარტოფილიდგან, ამზადებენ ფქვილს და ხდიან ვოდკასაც. ჩვენში მიწის ვაშლს ისწვავენ კარტოფილსავით ღველფში და ისე სჭამენ. სადაც ბევრი მოდის, შეიძლება იხმარონ მიწის ვაშლი პირუტყვების საკვებათაც. მოშენება ამასაც ისე უნდა, როგორც კარტოფილს.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 апреля 1871 г.* დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა

რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.